

# სარჩევი

ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს მდგრადი განვითარების პრინციპები .....	2
ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები მინერალურ რესურსებთან დაკავშირებული შემოსავლების გამჭვირვალობის შესახებ .....	7
ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები მოპოვებით მრეწველობაში განვითარებისათვის თანამშრომლობის შესახებ .....	10
ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და მკვიდრი მოსახლეობის შესახებ .....	13
ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ვერცხლისწყლის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების მართვის შესახებ .....	18
ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ნყლის მართვის შესახებ .....	21
ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და დაცული ტერიტორიების შესახებ .....	24
ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები კუდსაცავებთან დაკავშირებული კატარსტროფების პრევენციის/თავიდან აცილების შესახებ .....	27
ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები კლიმატის ცვლილების პოლიტიკისათვის .....	31

# ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს მდგრადი განვითარების პრინციპები

ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს წევრები, ვალდებულნი არიან შეასრულონ საბჭოს მიერ დადგენილი 10 პრინციპი. ეს პრინციპები წარმოადგენს სახელმძღვანელოს, ლითონისა და სამთო მოპოვებელი მრეწველობის სფეროში მდგრადი განვითარების საუკეთესო პრაქტიკის დასამკვიდრებლად.

2003 წლის მაისში შემუშავებული და აღიარებული პრინციპები პასუხობს ყველა იმ გამოწვევას, რომელიც „სასარგებლო წიაღისეულის, სამთო მოპოვებელი მრეწველობის და მდგრადი განვითარების“ პროექტის ფარგლებში იქნა გამოვლენილი. „სასარგებლო წიაღისეულის, სამთო მოპოვებელი მრეწველობისა და მდგრადი განვითარების“ პროექტის ფარგლებში კვლევის მიზანი იყო დაედგინა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას რა წვლილის შეტანა შეუძლია მდგრად განვითარებაში.

საბჭო მოელის, რომ ყველა წევრი კომპანია ამ პრინციპებს სრულად შეასრულებს და გამჭირვალედ მოახდენს ამ პრინციპების შესრულებაზე ანგარიშგებას.

პრინციპების სრულყოფისათვის შეფასდა მათი შესაბამისობა, ისეთ საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან, როგორცაა: რიოს დეკლარაცია, ანგარიშგების გლობალური ინიციატივა, გლობალური შეთანხმება, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები ტრანსნაციონალური საწარმოებისათვის, მსოფლიო ბანკის სამოქმედო სახელმძღვანელო, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 98, 169, 176 კონვენციები, ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების ნებაყოფლობითი პრინციპები.<sup>1</sup>

## 1. მდგრადი განვითარებისათვის, გამოყენებულ უნდა იქნას ეთიკური პრინციპები ბიზნესის წარმოებისას, კორპორატიული მმართველობის მდგრადი სისტემები და გამჭირვალობა

- კომპანიამ უნდა შეიმუშაოს და დანერგოს ბიზნესის ეთიკურად წარმოების პრინციპები და პრაქტიკა, რომლის შესრულებასაც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობა.
- უნდა განახორციელოს ისეთი პოლიტიკა, რომ თავიდან იქნას არიდებული მექრთამეობა და კორუფცია.
- უნდა შეასრულოს მასპინძელი ქვეყნის კანონები და რეგულაციები, ან შეიმუშავოს მასზე უკეთესი პოლიტიკა და იხელმძღვანელოს მისით.

<sup>1</sup> the Rio Declaration; the Global Reporting Initiative; the Global Compact; OECD Guidelines on Multinational Enterprises; World Bank Operational Guidelines; OECD Convention on Combating Bribery; ILO Conventions 98, 169, 176, and the Voluntary Principles on Security and Human Rights.

- კომპანიამ უნდა ითანამშრომლოს მთავრობასთან, მრეწველობის დარგში მომუშავე სხვა კომპანიებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, რათა სათანადოდ და ეფექტურად შეასრულოს სახელმწიფო პოლიტიკა, კანონები, რეგულაციები და პროცედურები რომლებიც ხელს უწყობენ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების და სამთო მრეწველობის მიერ წვლილის შეტანას მდგრად განვითარებაში. ეს უნდა მოხდეს მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში.

## **2. კორპორაციულ სტრატეგიაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა მოხდეს მდგრადი განვითარების საკითხების ინტეგრირება**

- კომპანიის პოლიტიკაში უნდა გაერთიანდეს მდგრადი განვითარების პრინციპები და შემდგომ, გამოყენებულ იქნას პრაქტიკაში.
- პროექტის დაგეგმვა, დიზაინი, მართვა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ მან ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას.
- სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური გარემოს გასაუმჯობესებლად, ასევე სააქციო ღირებულების გაზრდისათვის უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს კარგი პრაქტიკა.
- კომპანიამ უნდა წაახალისოს მომხმარებლები, ბიზნეს პარტნიორები და საქონლის მიმწოდებლები, რათა მათაც დანერგონ მსგავსი პრინციპები და პრაქტიკა.
- დასაქმებულთა კომპეტენციის ამაღლებისათვის, დაქირავებული თანამშრომლებს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები მდგრადი განვითარების საკითხებთან დაკავშირებით.
- ღია და კონკურენტული ბაზრის ხელშესაწყობად, კომპანიამ მხარი უნდა დაუჭიროს სახელმწიფო პოლიტიკასა და პრაქტიკას.

## **3. დაიცავით ადამიანის უფლებები, პატივი ეცით მომხმარებლების, დასაქმებულებისა და თქვენი საქმიანობის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ინტერესებს, კულტურას და ფასეულობებს**

- კომპანიამ საქმიანობის პროცესში არ უნდა გამოიყენოს ბავშვთა შრომა, აგრეთვე ყველა დასაქმებულისათვის უნდა შეუქმნას სათანადო სამუშაო პირობები და მოახდინოს შრომის სამართლიანი ანაზღაურება.
- სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, კომპანიამ დასაქმებულებთან კონტრუქციულად უნდა ითანამშრომლოს.
- უსამართლობის, ძალადობისა და დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად კომპანიამ უნდა შეიმუშაოს და დანერგოს სათანადო პოლიტიკა და პრაქტიკა.
- ყველა დასაქმებულს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგები ადამიანის უფლებებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- კომპანია ყველანაირად უნდა ეცადოს თავიდან აირიდოს იძულებით განსახლება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ განსახლება გარდაუვალია, დაზარალებულები უზრუნველყოს სათანადო კომპენსაციით.

- კომპანიამ პატივი უნდა სცეს ადგილობრივი, მათ შორის მკვიდრი მოსახლეობის კულტურასა და სხვა ფასეულობებს.

#### **4. კომპანიამ უნდა შეიმუშაოს სანდო სამეცნიერო საფუძვლებზე დამყარებული რისკების მართვის სტრატეგია, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მისცემს რისკების აღქმის საშუალებას**

- საქმიანობისგან გამომწვეული ადამიანის ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, ეკონომიკაზე, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად და სამართავად, კომპანიამ კონსულტაცია უნდა გაიაროს დაზარალებულ მოსახლეობასთან და სხვა დაინტერესებულ საზოგადოებასთან.
- რეგულარულად უნდა მოხდეს რისკების მართვის სისტემის გადახედვა და განახლება.
- პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მყოფ ყველა მხარეს უნდა მიენოდოს ინფორმაცია საქმიანობის შედეგად მოსალოდნელი რისკებისა და ამ რისკების მართვის გეგმის შესახებ.
- კომპანიამ, პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მყოფ ყველა მხარესთან თანამშრომლობით უნდა შეიმუშავოს, დანერგოს და გამოცადოს საგანგებო რეაგირების პროცედურები.

#### **5. ზიანის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, მუდმივად უნდა გაგრძელდეს მუშაობა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების გაუმჯობესების კუთხით**

- კომპანიამ უნდა განახორციელოს კონტრაქტორთა, კომპანიაში დასაქმებულთა და ადგილობრივთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მუდმივ გაუმჯობესებაზე ორიენტირებული მენეჯმენტის სისტემა.
- კონტრაქტორთა და დასაქმებულთა შორის დაავადებების გავრცელების, დაზიანებების და უბედური შემთხვევების აღმოსაფხვრელად, უნდა დაინერგოს სათანადო პრაქტიკა და შესაბამისი ზომები.
- ყველა თანამშრომელს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგები, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით. კომპანიამ კონტრაქტორსაც უნდა მოსთხოვოს, მათ მიერ დასაქმებულებს ჩაუტარდეს მსგავსი ტრენინგები.
- კომპანიამ რეგულარულად უნდა განახორციელოს დასაქმებულთა სამედიცინო მეთვალყურეობა და მოახდინოს რისკების მონიტორინგი. ამავდროულად, უნდა უზრუნველყოს თანამშრომელთა რეაბილიტაცია და ავადმყოფობის შემდეგ, მათი კვლავ სამსახურში დაბრუნება.

## **6. მუდმივად უნდა განხორციელდეს, ისეთ გარემოსდაცვითი საკითხებზე მუშაობა, როგორცაა: წყლის კონტროლი, ენერჯის გამოყენება და კლიმატის ცვლილება**

- საქმიანობის დაწყებიდან მის დასრულებამდე, უნდა მოხდეს ახალი პროექტების პირდაპირი და არაპირდაპირი, დადებითი და უარყოფითი, ასევე კუმულაციური ზემოქმედების შეფასება გარემოზე.
- გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების, მიტიგაციის ან პრევენციისათვის, მუდმივად უნდა გაგრძელდეს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესებაზე მუშაობა.
- საქმიანობის დასრულების მერე, მოხდეს სანარმოების მიერ გარდაქმნილი ან დაკავებული მიწების აღდგენა, მიწის რესურსების ათვისების შესაფერისი პრაქტიკის შესაბამისად.
- კომპანიამ უნდა უზრუნველყოს სანარმოო ნარჩენების უსაფრთხოდ შენახვა და მათი საბოლოო განთავსება.
- საქმიანობის ყველა ეტაპზე, შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, უნდა მოხდეს საჭირო რესურსების სწორად დაგეგმვა და განვითარება.

## **7. კომპანიამ ხელი უნდა შეუწყოს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას და მიწის გამოყენების დაგეგმვაში ინტეგრირებული მიდგომის გამოყენებას**

- კომპანია პატივი უნდა სცემდეს/აღიარებდეს კანონით განსაზღვრულ დაცულ ტერიტორიებს.
- კომპანიამ ხელი უნდა შეუწყოს ბიომრავალფეროვნების სფეროში არსებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებას და სამეცნიერო მონაცემების გავრცელებას.
- მიწის გამოყენების, ბიომრავალფეროვნების დაცვის, კონსერვაციის და სამთო მოპოვების სფეროში ინტეგრირებული მიდგომის გამოყენებისათვის, კომპანიამ ხელი უნდა შეუწყოს სამეცნიერო კვლევების განხორციელებას, ყოვლისმომცველ და გამჭირვალე პროცედურებს.

## **8. კომპანიამ ხელი უნდა შეუწყოს ისეთი მონაცემთა ბაზის და სისტემის არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტების: ლითონებისა და მინერალების პასუხისმგებლიან გამოყენებას, მათ ხელახლა გამოყენებას, გადამუშავებას და საბოლოო განთავსებას**

- უნდა მოხდეს, ლითონისა და მინერალების თვისებების, ასევე მათი ცხოვრების ციკლის ბეგავლენის წინასწარი შესწავლა, ადამიანის ჯანმრთელობაზე და ბუნებრივ გარემოზე.
- კომპანიამ უნდა დანერგოს და განხორციელოს ისეთი კვლევები და ინოვაციები, რომელიც ხელს შეუწყობს ისეთი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას, რომელიც უსაფრთხოდ და ეფექტურად გამოიყენებს ენერჯიას, ბუნებრივ რესურსებს და სხვა მასალებს.
- ლითონებისა და მინერალური ნედლეულის დამატებითი ღირებულების შესაქმნელად, უნდა მოხდეს მასალების ინტეგრირებული მართვის განვითარება და ხელშეწყობა.

- გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და სხვა დაინტერესებული მხარეებს, პროდუქციისა და საქმიანობის შესახებ მიენოდოთ მეცნიერული მონაცემები და ანალიტიკური ინფორმაცია, რათა მათ მიიღონ მარეგულირებელი გადაწყვეტილება.
- კომპანიამ ხელი უნდა შეუწყოს სანდო სამეცნიერო საფუძვლებს დამყარებული ისეთი პოლიტიკის, რეგულაციების, პროდუქტის სტანდარტების განვითარებას და მასალების არჩევანს, რომელიც ხელს შეუწყობს მინერალებისა და ლითონების უსაფრთხო გამოყენებას.

## **9. კომპანიამ მუდმივად უნდა განაგრძოს მუშაობა სოციალური საკითხების გაუმჯობესებაზე და წვლილი შეიტანოს მასპინძელი ქვეყნის და თემების სოციალურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციონალურ განვითარებაში.**

- კომპანია ადრეულ ეტაპზევე უნდა ჩაერთოს, ყველა პროექტის გემოქმედების ქვეშ მყოფ მხარეებთან მოლაპარაკებებში. მათთან განიხილოს და რეაგირება მოახდინოს სოციალურ გემოქმედებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, რაც კონფლიქტებს იწვევს.
- შექმნან ისეთი სისტემა, რომ მუდმივი კავშირი იქონიონ პროექტის გემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობასთან. შექმნან ისეთი გარემო, რომ უმცირესობაში მყოფ მხარეებსაც და ქვედა სოციალური კლასის წარმომადგენლებსაც/განსხვავებული სოციალური ჯგუფებს/მარგინალიზებულ ჯგუფებსაც მიეცეთ ჩართულობის შესაძლებლობა.
- მასპინძელ თემებთან და მათ წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების გზით, ხელი შეუწყოს საზოგადოების განვითარებას.
- კომპანიამ უნდა ითანამშრომლოს მთავრობასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა დარწმუნდნენ რომ პროგრამა, რომელიც ეხება საზოგადოების ჯანმრთელობას, განათლებას, ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას არის კარგად დაგეგმილი და ეფექტურად მიწოდებული.
- სიღარიბის დასაძლევად, კომპანიამ ხელი უნდა შეუწყოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

## **10. კომპანიამ უნდა უზრუნველყოს, მდგრადი განვითარების საკითხთან დაკავშირებულ გამოწვევებზე, ძირითადი დაინტერესებული საზოგადოების ღიად, გამჭვირვალედ და პროაქტიულად ჩართულობა. ეფექტური ანგარიშგება და პროგრესისა და სამუშაოს შესრულების დამოუკიდებლად კონტროლი**

- უნდა მოხდეს ანგარიშგება ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვითი საკითხების შესრულებაზე და სამთო მრეწველობის მიერ, მდგრად განვითარებაში წვლილის შეტანის შესახებ.
- კომპანიამ უნდა წარადგინოს დროული, ბუსტი და რელევანტური/მნიშვნელოვანი ინფორმაცია.
- კომპანიამ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული საზოგადოების ჩართულობა და ანგარიშგება, ღია კონსულტაციის მეშვეობით.

# ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები მინერალურ რესურსებთან დაკავშირებული შემოსავლების გამჭვირვალობის შესახებ

## მიმოხილვა

ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს წევრები, ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ იმ ქვეყნის მდგრად განვითარებას, სადაც საქმიანობას ახორციელებენ. საბჭოს ძირითად აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ კომპანიებმა უნდა იპოვონ ეფექტური გზა, მდგრად განვითარების ხელშესაწყობად და საქმიანობის განხორციელებით წვლილი შეიტანონ სოციალურ თუ ეკონომიკურ განვითარებაში. საბჭოს წევრები მიიჩნევენ, რომ მინერალურ რესურსებთან დაკავშირებული შემოსავლების გამჭვირვალობა ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია.

საბჭოს წევრები პატივს სცემენ სუვერენული სახელმწიფოების უფლებას, მიიღონ გადაწყვეტილებები შემოსავლების გამჭვირვალობისათვის და აღიარებენ, რომ გამჭვირვალობას შეუძლია კორუფციასთან ბრძოლა. ასევე, მინერალური რესურსებიდან მიღებული შემოსავლები ხელს უწყობენ მდგრად განვითარებასა და სიღარიბის დაძლევას.

მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა (The Extractive Industries Transparency Initiative; EITI) ნავთობის, გაზის და სამთო მოპოვებითი კომპანიების მიერ გადახდილი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების მონიტორინგისათვის საყოველთაო სტანდარტს აწესებს. ეს სტანდარტი, რესურსის მოპოვებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების, ლიცენზიების, ხელშეკრულებების და პროდუქციის წარმოების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს. შესაბამისად, რესურსებით მდიდარ ქვეყანაში ეს სტანდარტი მმართველობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. EITI- ი მთავრობების, კომპანიების, სამოქალაქო საზოგადოების, ინვესტორების და საერთაშორისო ორგანიზაციების გაერთიანებაა. საბჭო მხარს უჭერს 2003 წელს დამტკიცებულ მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივას (EITI) და მის პრინციპებს, რომელიც ინიციატივის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

EITI ინიციატივა, არაერთ იურისდიქციაში მხარდაჭერილია დამატებითი კანონებით, რომელიც მოითხოვს ქვეყნებიდან, კომპანიებიდან თუ პროექტებიდან გადახდილი გადასახადების საჯაროობას.

## ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს პრინციპებისა და სახელმძღვანელო მითითებების შესახებ ფონური ინფორმაცია

კომპანიების მიერ მდგრადი განვითარების პრინციპების განხორციელება საბჭოს წევრობის წინაპირობაა, რაც მოიცავს, მდგრადი განვითარების 10 პრინციპის განხორციელებას საქმიანობის პროცესში.

მინერალური რესურსებთან დაკავშირებული შემოსავლების გამჭვირვალობის შესახებ სახელმძღვანელო მითითებებისათვის რელევანტურია პირველი და მე-10 პრინციპი.

პრინციპების მიხედვით, საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭომ, სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით უნდა მოამზადოს სახელმძღვანელო მითითებები, რაც შემდეგ საბჭოს წევრმა კომპანიებმა თავიანთ პრაქტიკაში უნდა დანერგონ.

ეს სახელმძღვანელო მითითებები საბჭოს წევრებს უნესებს მიდგომებს შემოსავლების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. ასევე, ცვლის საბჭოს მიერ ოთხივე წინამორბედ 2003, 2005, 2006 და 2009 წლების) განცხადებას EITI- ინიციატივასთან დაკავშირებით.

## **განცხადების აღიარება**

საბჭოს წევრები აღიარებენ, რომ:

1. საბჭოს კვლევამ, რომელიც მსოფლიო ბანკთან და გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციასთან (UNCTAD) თანამშრომლობით ჩატარდა, აჩვენა, რომ სამთო მოპოვებასთან დაკავშირებულ ინვესტიციებს, შეუძლია ხელი შეუწყოს განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური ზრდას და სიღარიბის დაძლევას, თუ პარალელურად შესაბამისი პოლიტიკა და ინსტიტუციური რეფორმები გატარდება. პირიქითაა, ბუნებრივი რესურსების შემოსავლებზე მაღალმა დამოკიდებულებამ, შესაძლოა მმართველობის და მაკროეკონომიკის მართვის კუთხით, გარკვეული გამოწვევები შექმნას.
2. საბჭოს კვლევამ აჩვენა, რომ მიზნობრივმა მაკროეკონომიკურმა რეფორმებმა და სამთო მოპოვებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გაუმჯობესებამ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, შეიძლება გაზარდოს სამთო ინვესტიციების განვითარება, გამჭვირვალობა კი ამ რეფორმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.
3. გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის კუთხით, მმართველობის გაუმჯობესების პროცესში, გამჭვირვალობას მნიშვნელოვანი როლი აკისრია. შემოსავლების ეფექტურად მართვის უზრუნველსაყოფად, საჭიროა პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელება.
4. გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად, ეროვნულ დონეზე EITI-ინიციატივაზე აქცენტის გაკეთება, მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია. გრძელვადიან პერსპექტივაში, კარგი მმართველობის უფრო მეტად გასავრცელებლად, საბჭოს წევრები მზად არიან, სხვებთან ერთად იმუშაონ ინიციატივების შექმნაზე.
5. თუკი, ხელშეკრულება მოითხოვს, მინერალური რესურსებიდან მიღებული შემოსავლები დაბრუნებას ისევ იმავე რეგიონში, სადაც სამთო მოპოვებითი სამუშაოები ხორციელდება და მიუხედავად ამისა, ხელშეკრულებით აღებული პირობა არ სრულდება, ან ისე აღიქმება,



რომ ეს მოთხოვნა არ შესრულდა, შეიძლება გამოიწვიოს ნდობის დაკარგვა და საინვესტიციო გარემოსათვის ზიანის მიყენება. იმ შემთხვევაშიც, თუ რეგიონში დაბრუნებული შემოსავლები არაადექვატური ოდენობისაა, გამოიწვევს ნდობის დაკარგვას და საინვესტიციო გარემოს ზიანს მიაყენებს.

## **საბჭოს წევრების ვალდებულებები**

მდგრადი განვითარების პრინციპების შესრულების გარდა, საბჭოს წევრები ვალდებულები არიან:

1. გამოიყენონ ძალისხმევა რათა, საერთაშორისო დონეზე გაზარდონ მინერალურ რესურსებთან დაკავშირებული შემოსავლების გამჭვირვალობა, ამისთვის უნდა გამოიყენონ EITI-ინიციატივის ვებ-გვერდი ან უზრუნველყონ მდგრადი განვითარების ანგარიშგება. EITI-ინიციატივის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისათვის, უნდა შეავსონ EITI-ინიციატივის სამდივნოს მიერ გამზადებული ფორმა.
2. კონსტრუქციულად ჩართონ პროცესში ისეთი ქვეყნები, რომელთაც სურთ EITI-ინიციატივის განხორციელება. ეს პროცესი, თითოეულ ქვეყანაში უნდა წარიმართოს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.
3. მთავრობის შესაბამის დონეზე შეადგინონ ინფორმაცია ყველა სახის მატერიალური გადასახადების შესახებ. იმ ქვეყნებში, სადაც EITI-ინიციატივა ხორციელდება, ინფორმაცია უნდა მიწოდდეს მთავრობის შესაბამის უწყებას, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს. კომპანიების მიერ გადახდილი მატერიალური გადასახადები სავარაუდოდ, დამოუკიდებლად შემოწმდება, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის გამოყენებით.
4. მხარი დაუჭირონ, ქვეყნისა და პროექტისათვის მატერიალური გადასახადების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას (მაგალითად, გამოაქვეყნონ ინფორმაცია). EITI-ინიციატივისათვის, საჯაროობის ფორმა უნდა შეესაბამებოდეს, ქვეყანაში დანერგილ პრაქტიკას.
5. მინერალურ რესურსებთან დაკავშირებული შემოსავლების გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, საბჭოს მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ შესაბამის ფორუმებში.

# ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები მოპოვებით მრეწველობაში განვითარებისათვის თანამშრომლობის შესახებ

## მიმოხილვა

მინერალური რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებული განვითარებისათვის, საბჭოს წევრი კომპანიები ცდილობენ ითანამშრომლონ მასპინძელ ქვეყნებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან. აუხსნან მათ, რომ კომპანიების მიერ, რესურსის მოპოვებისათვის ჩადებული ინვესტიცია სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, როგორც ადგილობრივ ასევე ეროვნულ დონეზე.

საბჭოს წევრებს, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით შეუძლიათ დადებითი როლი ითამაშონ.

საბჭოს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ფართომასშტაბიანმა მოპოვებითმა საქმიანობამ დაბალ შემოსავლიან ქვეყნებს შესაძლოა ეკონომიკური სიკეთეები მოუტანოს, დაეხმაროს სიღარიბის დაძლევისა და გლობალურ ეკონომიკაში ხელახლა ჩართვაში. თუკი ქვეყნები, ასეთ სიკეთეებს ვერ იღებენ საქმიანობიდან, კომპანიებმა უნდა იმუშაონ, რათა ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე ხელი შეუწყონ, საჯარო მმართველობის რეფორმების გატარებას. ამის მიღწევა შესაძლებელია მრავალმხრივი თანამშრომლობის საშუალებით.

ამ სახელმძღვანელო მითითებების მიზანია განვითარებაზე ორიენტირებული მრავალმხრივი თანამშრომლობის წახალისება. მითითებები საბჭოს წევრებს ავალდებულებს გლობალურ, ეროვნულ და საზოგადოებრივ დონეზე ხელი შეუწყონ ასეთი სახის თანამშრომლობას.

საბჭოს წევრები იმედოვნებენ, რომ სამთო მრეწველობის განვითარების ხელშესაწყობად, მთავრობების, სახელმწიფო განვითარების სააგენტოებისა და სამოქალაქო საზოგადოების დიდი ნაწილი ჩაერთვება ამგვარ თანამშრომლობაში.

## ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს პრინციპებისა და სახელმძღვანელო მითითებების შესახებ ფონური ინფორმაცია

კომპანიების მიერ მდგრადი განვითარების პრინციპების განხორციელება საბჭოს წევრობის წინაპირობაა, რაც მოიცავს, მდგრადი განვითარების 10 პრინციპის განხორციელებას საქმიანობის პროცესში.

მოპოვებით მრეწველობაში განვითარებისათვის თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო მითითებებისათვის რეფერენტურია პირველი, მე-2, მე-3, მე-9 და მე-10 პრინციპი.

პრინციპების მიხედვით, საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭომ, სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით უნდა მოამზადოს სახელმძღვანელო მითითებები, რაც შემდეგ საბჭოს წევრმა კომპანიებმა თავიანთ პრაქტიკაში უნდა დანერგონ.

## განცხადების აღიარება

საბჭოს კვლევამ,<sup>2</sup> რომელიც გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციასთან (UNCTAD) და მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით ჩატარდა, წარმატების მისაღწევად გამოყო ის ფაქტორები, რომლის მიხედვითაც, სამთო და მინერალურ რესურსებში ჩადებულ ინვესტიციებს შეუძლია ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას, სიღარიბის შემცირებას და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში სწრაფ განვითარებას.

1. სამთო და მინერალური რესურსების მრეწველობაში ჩადებული ინვესტიციები, ყოველთვის არ იძლევა დადებით სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებს. 2004 წელს, მინერალურ რესურსებზე დამოკიდებულ 33 ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევამ, სოციალურ ეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებისას აჩვენა, რომ საქმიანობამ ნახევარზე მეტ შემთხვევაში, ქვეყნებს წარმატება მოუტანა, ნაწილს კი არა. ეს მოუწოდებს საბჭოს ყველა წევრს, გასწიოს უფრო მეტი ძალისხმევა წარმატების მისაღწევად.
2. კომპანიები უნდა ეცადონ, იპოვონ სათანადო გზა, რათა სამთო მოპოვებითმა საქმიანობამ გააუმჯობესოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. 2012 წლის მონაცემებით, დაახლოებით 900 მილიონი ადამიანისათვის დღიური შემოსავალი დღეში 1.90 დოლარზე ნაკლები იყო, 2.1 მილიარდი ადამიანისათვის კი დღიური თანხა 3.10 დოლარზე ნაკლებს შეადგენდა.
3. კვლევა მიუთითებს, რომ მმართველობის ჩარჩო (ეს იქნება სუვერენული თუ კორპორაციული) არის სამთო მრეწველობიდან ეკონომიკურ ზრდისა და სიღარიბის შემცირების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი. ამასთან, კვლევა ხაზს უსვამს ეროვნულ და რეგიონულ დონეზე, მთავრობის მიერ საჯარო სექტორის მართვის აუცილებლობას.
4. კომპანიებს, მთავრობებს, სახელმწიფო განვითარების სააგენტოებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობა, ხელს შეუწყობს შესაძლებლობებისა და მმართველობაში ხარვეზების გამოსწორებას, ასევე გაზრდის ლითონებისა და სამთო მოპოვებითი მრეწველობის წვლილს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. საბჭომ და მისმა პარტნიორებმა ექვსი პრიორიტეტული საკითხი გამოყვეს:
  - სამთო მოპოვებითი მრეწველობა და სიღარიბის შემცირება;

<sup>2</sup> [www.icmm.com/en-gb/society-and-the-economy](http://www.icmm.com/en-gb/society-and-the-economy)

- სამთო მოპოვებითი მრეწველობა და ეკონომიკური განვითარება: შემოსავლების მართვა;
- სამთო მოპოვებითი მრეწველობა და ეკონომიკური განვითარება: რეგიონული განვითარების დაგეგმვა;
- სამთო მოპოვებითი მრეწველობა და ეკონომიკური განვითარება: ადგილობრივ კონტექსტში;
- სამთო მოპოვებითი მრეწველობა და სოციალური ინვესტიციები;
- სამთო მოპოვებითი მრეწველობა და დავის გადაწყვეტა.

თითოეული მათგანი, დეტალურად არის აღწერილი დოკუმენტში მოპოვებითი მრეწველობა: განვითარებისათვის თანამშრომლობა (Mining: partnerships for development) <sup>3</sup>

## საბჭოს წევრების ვალდებულებები

საბჭოს წევრები ვალდებულები არიან, მდგრადი განვითარების პრინციპების შესრულების გარდა, ხელი შეუწყონ სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან თანამშრომლობას, რათა ამ თანამშრომლობით გაზარდონ სოციო-ეკონომიკის განვითარებაში სამთო მრეწველობიდან შეტანილი სარგებელი/წვლილი. პრაქტიკულად, ეს ნიშნავს:

1. სოციო-ეკონომიკის განვითარებაში სამთო მრეწველობიდან შეტანილი წვლილის/სარგებლის გასაზრდელად, საბჭოს წევრმა კომპანიებმა, საჯაროდ უნდა გამოთქვან თავიანთ მზადყოფნა, სახელმწიფო განვითარების სააგენტოებთან, მასპინძელ მთავრობებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ინდივიდუალურად ან ჯგუფურად პარტნიორობისათვის.
2. ისეთ რეგიონებში, სადაც საქმიანობიდან სოციო-ეკონომიკის განვითარებისათვის შეტანილი სარგებელი ბუნდოვანია, უნდა იმუშავონ, რათა: 1. გააკეთონ ხელისშემშლელი ფაქტორების ანალიზი, რაც ამ სარგებელის შეტანას უშლის ხელს. 2. ამ პრობლემის გადასაჭრელად, აქტიურად იმუშაონ, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის განსავითარებლად.
3. შეაფასონ და პერიოდულად გადახედონ რამდენად ეფექტურია პარტნიორობისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები და შემდგომში, გამოიყენონ ეს გამოცდილება, რათა გაზარდონ, სოციო-ეკონომიკის განვითარებაში სამთო მრეწველობიდან შეტანილი სარგებელი.
4. უზრუნველყონ, ასეთ თანამშრომლობასთან დაკავშირებით მათი საქმიანობის მიმოხილვა და წლიურ ანგარიშში მისი ასახვა.

<sup>3</sup> [www.icmm.com/mpd](http://www.icmm.com/mpd)

# ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და მკვიდრი მოსახლეობის შესახებ

## მიმოხილვა

აქ მოცემული სახელმძღვანელო მითითებები განსაზღვრავს საბჭოს წევრი კომპანიების მიდგომას მკვიდრი მოსახლეობის ჩართულობისათვის თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის (free, prior and informed consent; FPIC-პრინციპი) მეშვეობით. საბჭოს ხედვის მიხედვით, ლითონების და სამთო მოპოვებითი მრეწველობის კომპანიებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის კონსტრუქციული ურთიერთობები დაფუძნებული უნდა იყოს ურთიერთპატივისცემაზე, გადანყვეტილების მიღების პროცესში მათ ეფექტური ჩართულობაზე, ნდობაზე და ურთიერთდახმარებაზე. საბჭოს წევრები ვალდებული არიან:

- მკვიდრი მოსახლეობის მიერ, ტრადიციულ თუ კანონიერ ძფლობელობაში არსებულ მიწაზე, სამთო მოპოვებული საქმიანობის განხორციელების დროს, პატივი სცენ მკვიდრი მოსახლეობის უფლებებს, ხედვას, ინტერესებს და მათ განსაკუთრებულ კავშირს თავიანთ მიწა-წყალთან.
- შეიმუშაონ და გამოიყენონ მკვიდრ მოსახლეობასთან კონსულტაციისა და ჩართულობის ისეთი მიდგომები, რითაც უზრუნველყოფენ მათ ეფექტიან ჩართულობას გადანყვეტილების მიღების პროცესში. ამასთან, ეს პროცესი დაფუძნებული უნდა იყოს კეთილსინდისიერ მოლაპარაკებაზე.
- სახელმძღვანელო მითითებების მოთხოვნის შესაბამისად, იმუშაონ მკვიდრი მოსახლეობის თანხმობის მოსაპოვებლად.

საბჭოს ხედვის მიხედვით, FPIC-პრინციპი მოიცავს გარკვეულ პროცესებს და შედეგებს. ამ პროცესის მიხედვით, მკვიდრ მოსახლეობას: იძულების, დაშინების ან მანიპულირების გარეშე უნდა შეეძლოს გადანყვეტილების მიღება; გადანყვეტილებების მიღებამდე და პროექტის ზემოქმედების პროცესის დაწყებამდე უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო გადანყვეტილების მიღების პროცესში ჩართვისათვის; პროექტიდან მიღებულ სარგებელსა და საქმიანობიდან გამომწვეული უარყოფითი ზემოქმედებების შესახებ, სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებულები.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მკვიდრი მოსახლეობის ეფექტიანად მონაწილეობის შედეგი იქნება ის, რომ მათ შეეძლებათ დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ პროექტის განხორციელებას. მთელი ეს პროცესი დამყარებული უნდა იყოს საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დაცვაზე და კეთილსინდისიერ მოლაპარაკებაზე.

სახელმძღვანელო მითითებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება სავალდებულოა ახალი პროექტების განხორციელებისა და ძველში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, რომელთან მნიშვნელოვანი ზემოქმედება ექნება მკვიდრ მოსახლეობაზე. სახელმძღვანელო მითითებები არ ვრცელდება ძველ პროექტებზე. იქ სადაც, პროექტს მნიშვნელოვანი სახის ზემოქმედება აქვს, როგორც მკვიდრზე, ასევე ჩვეულებრივ მოსახლეობაზე, კომპანიას აქვს შესაძლებლობა, რომ მითითებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება განახორციელოს ჩვეულებრივ მოსახლეობაზე (არჩევანის შესაძლებლობა აქვს ამ შემთხვევაში).

## **ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს პრინციპებისა და სახელმძღვანელო მითითებების შესახებ ფონური ინფორმაცია**

კომპანიების მიერ მდგრადი განვითარების პრინციპების განხორციელება საბჭოს წევრობის წინაპირობაა, რაც მოიცავს, მდგრადი განვითარების 10 პრინციპის განხორციელებას საქმიანობის პროცესში.

მკვიდრი მოსახლეობის შესახებ სახელმძღვანელო მითითებებისათვის რეფერენტურია მე-3, მე-6 და მე-9 პრინციპი.

პრინციპების მიხედვით, საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭომ, სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით უნდა მოამზადოს სახელმძღვანელო მითითებები, რაც შემდეგ საბჭოს წევრმა კომპანიებმა თავიანთ პრაქტიკაში უნდა დანერგონ.

## **განცხადების აღიარება**

საბჭოს წევრები აღიარებენ, რომ:

1. ხშირად, თავიანთ მიწა-წყალთან მკვიდრ მოსახლეობას აქვს ღრმა და განსაკუთრებული კავშირი და ეს ყველაფერი მათ ფიზიკურ, სულიერ, კულტურულ და ეკონომიკურ კეთილდღეობასთან მჭიდრო კავშირშია. გარემოს მდგრად მართვასთან დაკავშირებით, მათ შეიძლება გააჩნდეთ, ღირებული ტრადიციული ცოდნა და გამოცდილება. მსოფლიოს არაერთ რეგიონში, მკვიდრ მოსახლეობა დაუცველია როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური კუთხითაც, განიცდიან დისკრიმინაციას და სიღარიბის მაღალ დონეს. ლითონებისა და სამთო-მოპოვებითმა მრეწველობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ თემებზე, როგორც დადებითი, ასევე უარყოფით კუთხით.
2. ზოგადად აღიარებულია, რომ ჩამოთვლილთაგან, სამთო-მოპოვებითმა მრეწველობამ მკვიდრი მოსახლეობის ერთ ან რამდენიმე ჯგუფზე შეიძლება მოახდინოს ზეგავლენა, მაგალითად: მიწის ფორმალური მფლობელები ან პირები რომელთაც მიწაზე და რესურსზე აქვთ სამართლებრივი ინტერესები; მომჩივნები რომლებიც არიან მიწის ან რესურსების მფლობელები; მიწის და რესურსების დროებითი ან მუდმივი მფლობელები; მიწის ან ისეთი რესურსების მომხმარებლები, როგორცაა ნადირობა, თევზაობა, თესლის / ხილის და

მედიკამენტური დანიშნულებით გარკვეული სახეობების შეგროვება, მომხმარებლები რომლებიც ტერიტორიას იყენებენ სულიერი ან რიტუალური მიზნებისთვის; ისეთი რესურსები და ობიექტები რომელთაც აქვთ კულტურული ღირებულება; ისეთი ლანდშაფტები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მასთან გარკვეული კავშირების, ტრადიციის ან რწმენის გამო; მასპინძელი თემების წევრები, რომელთა სოციალურ, ეკონომიკურ და ფიზიკურ გარემოზე, სამთო სამუშაოებმა და საქმიანობასთან დაკავშირებულმა პროცესებმა შეიძლება გავლენას იქონიოს.

3. მკვიდრ მოსახლეობას გააჩნია როგორც ინდივიდუალური, ასევე საერთო უფლებები და ინტერესები. საერთაშორისოდ აღიარებულია, რომ კომპანიებმა მათ უფლებებსა და ინტერესებს პატივი უნდა სცენ, მთავრობებმა კი დაიცვას ის. ამ სფეროში, ორი ძირითადი საერთაშორისო ინსტრუმენტი/დოკუმენტი არსებობს: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 1989 წლის №169 კონვენცია მკვიდრი მოსახლეობისა და ტომების შესახებ; 2007 წლის სექტემბერში, გაეროს გენერალური ასამბლეის (UN) მიერ მიღებული გაეროს დეკლარაცია, მკვიდრი მოსახლეობის უფლებების შესახებ (UNDRIP). ამ უკანასკნელის (UNDRIP-ის) მიხედვით, სახელმწიფოსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის დისკუსიისა და დიალოგისათვის, ქვეყნებმა უნდა დანერგონ და განახორციელონ ეფექტური გზები.
4. სამთო პროექტების წარმატებულად განხორციელებისათვის საჭიროა დაინტერესებული და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების მხარდაჭერა. რაც გულისხმობს, როგორც კომპანიის მხრიდან, ასევე მთავრობის მხრიდანაც ადგილობრივი თემების უფლებების მხარდაჭერას. მკვიდრ მოსახლეობას ხშირად თავიანთი კულტურული მახასიათებლები გააჩნიათ, რაც მათ ჩვეულებრივი მოსახლეობისაგან განასხვავებს, მაგალითად მათ გააჩნიათ განსხვავებული მართვის სტრუქტურა, ერთმანეთთან ურთიერთობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის განსხვავებული გზები. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მკვიდრი მოსახლეობის ეფექტური მონაწილეობისათვის, კომპანიებმა მოსახლეობასთან კომუნიკაციის დროს და მათი ჩართულობისათვის ისეთი მეთოდები უნდა დანერგონ, რაც მათი კულტურული მახასიათებლებისაგან განსხვავებული არ იქნება. სახელმწიფოებს აქვს უფლება, რესურსებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღონ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის საერთაშორისო კანონმდებლობის ფარგლებში შემუშავებული, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისადაც. უმეტეს ქვეყნებში, როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე მკვიდრ მოსახლეობას არ აქვს შესაძლებლობა ვეტო დაადოს განვითარებად პროექტებს, რომლებიც მათზე ზეგავლენას ახდენენ, ამიტომ პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების დროს უნდა იხელმძღვანელონ FPIC-პრინციპით.
5. მკვიდრი მოსახლეობის ჩართულობის პროცესში სახელმწიფოებს დიდი როლი აკისრიათ. მკვიდრი მოსახლეობის განსაზღვრის პროცესში (რომელი თემები მიიჩნიონ მკვიდრ მოსახლეობად და რომელი არა), FPIC-პრინციპით დადგენილი პროცესების ჩამოყალიბებაში, ასევე, იმის განსაზღვრაში, თუ როგორ იმოქმედებს ეს პროცესები გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობაზე, შესაძლოა სახელმწიფოები იყვნენ

ჩართულნი. FPIC-პრინციპის შესრულების დროს, სახელმწიფოებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ მკვიდრი მოსახლეობის უფლებებისა და ინტერესების დაბალანსების კუთხით, ასევე, კომპანიასა და მკვიდრ მოსახლეობას შორის წარმოშობილი უთანხმოების მოგვარებაში.

6. ზოგიერთ ქვეყანაში ტერმინი მკვიდრი მოსახლეობა, შეიძლება საკამათო იყოს და მის ნაცვლად გამოიყენონ სხვა მსგავსი სახის ტერმინები (მაგალითად, ტომები, პირველყოფილები, ადგილობრივი მოსახლეობა, აბორიგენული მოსახლეობა). სხვა შემთხვევაში, სახელმწიფომ შესაძლოა მოსახლეობა არ სცნოს როგორც მკვიდრი მოსახლეობა ან ტერმინმა შესაძლოა გამოიწვიოს ნეგატიური დამოკიდებულება, რაც ხალხს სანწყისად განსაზღვრული მკვიდრი მოსახლეობის სტატუსს დაუკარგავს. ადგილობრივი კონტექსტის მიუხედავად, საბჭოს წევრებმა თავიდან უნდა აიცილონ რაიმე სახის დისკრიმინაცია ან ზეგავლენა, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ამ ხალხის კულტურას, მათ ვინაობას ან მონყვლადობას. ასევე, წევრმა კომპანიებმა უნდა გამოიყენონ ამ სახელმძღვანელო მითითებებით განსაზღვრული პრინციპები, რომელიც აღიარებს მკვიდრი მოსახლეობის საყოველთაოდ აღიარებულ მახასიათებლებს.

## **საბჭოს წევრების ვალდებულებები**

მდგრადი განვითარების პრინციპების შესრულების გარდა, საბჭოს წევრები ვალდებულები არიან:

1. პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მყოფ მკვიდრ მოსახლეობასთან ურთიერთობის დროს, მთავარი ყურადღება გაამახვილონ შემდეგზე: 1. იმოქმედონ იმგვარად, რომ ლითონებისა და სამთო-მოპოვებითა პროექტებმა, ხელი შეუწყოს და პატივი სცეს მკვიდრი მოსახლეობის უფლებებს, ინტერესებს, მათ მისწრაფებებს, კულტურულ და ბუნებრივ საარსებო გარემოს. 2. პროექტი დაგეგმონ და განახორციელონ იმგვარად, რომ თავიდან აიცილონ ან შეამცირონ უარყოფითი ზემოქმედება, ან გარდაუვალი ზემოქმედების შემთხვევაში მოახდინონ ზიანის ანაზღაურება/კომპენსირება. 3. ლითონებისა და სამთო-მოპოვებითი საქმიანობის განვითარებით, ხელი შეუწყონ მკვიდრი მოსახლეობის შესაძლებლობების გაძლიერებას, მათთვის საქმიანობიდან სარგებლის მიღებას.
2. პროექტის პოტენციური ზემოქმედების შემთხვევაში, აღიარონ და პატივი სცენ მკვიდრი მოსახლეობის უფლებებს, ინტერესებსა და მათ სამომავლო გეგმებს. იმისათვის, რომ გამოვლინდეს პროექტი მოახდენს თუ არა ზემოქმედებას მოსახლეობაზე და მათ ბუნებრივ გარემოზე, საჭიროა სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანალიზის, ან სხვა სოციალურ საკითხთან დაკავშირებული საბაზისო კვლევების ჩატარება. მსგავსი კვლევები უნდა ჩატარდეს მოსახლეობის მონაწილეობით და უნდა ეყრდნობოდეს, ამავე ქვეთავის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირობებს.
3. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მკვიდრი მოსახლეობის ეფექტიანი მონაწილეობისათვის, პროექტის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზევე უნდა მოხდეს პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მყოფ მკვიდრ მოსახლეობასთან და ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან კონსულტაციების გამართვა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა. იმისათვის, რომ კომპანიებმა შეძლონ, დაეხმარონ თემებს შესაძლებლობების გაზრდაში,



აუცილებელია კეთილსინდისიერი მოლაპარაკებების წარმოება/გამართვა. ეს პროცესი მიმართული უნდა იყოს, გადანყვებილების მიღების პროცესში მკვიდრი მოსახლეობის მონაწილეობაზე, საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დაცვაზე და სწორად ასახვადეს პოტენციური ზემოქმედების მასშტაბებსა და ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების მონყვლადობას. პროცესი დოკუმენტირებული/მომზადებულ უნდა იყოს გეგმის სახით, ამავე გეგმის მიხედვით მომზადებულ უნდა იქნას საჩივრების განხილვის მექანიზმი. მთლიანად ეს პროცესი დამყარებული უნდა იყოს კეთილსინდისიერ მოლაპარაკებაზე და პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მყოფი მკვიდრი მოსახლეობა და მთავრობა უნდა ეთანხმებოდნენ კონსულტაციის/მონაწილეობის პროცესსა და პროტოკოლს. ეს გეგმა ასევე, უნდა განსაზღვრავდეს მკვიდრი მოსახლეობის თანხმობის შემთხვევაშიც, რა სახის ზემოქმედება შეიძლება ჰქონდეს საქმიანობას. ასევე, გადანყვებილების მიღების ეფექტიანი მონაწილეობისათვის, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მყოფ მკვიდრ მოსახლეობასთან მოლაპარაკებები და კონსულტაციები.

4. ახალი პროექტის განხორციელების, ან ძველ პროექტში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, თუკი ეს საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ისეთ ადგილას, რომელიც ტრადიციულ საკუთრებაშია ან მას მკვიდრი მოსახლეობა იყენებს, ასევე თუ ეს პროექტი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კულტურულ მემკვიდრეობაზე ან თემებზე, იქნება ეს განსახლება თუ სხვა სახის ზემოქმედება, კომპანიებმა უნდა იმუშაონ, რათა მკვიდრი მოსახლეობისაგან მიიღონ თანხმობა. შეთანხმების პროცესის შემდეგ უნდა მოხდეს იმის გადანყვება, განხორციელება თუ არა პროექტი, ან ძველი პროექტის ცვლილების შემთხვევაში, შევა თუ არა მასში ცვლილება. ეს პროცესი, ცალკეულ პირებსა თუ ქვე-ჯგუფებს არ უნდა ანიჭებდეს ვეტოს უფლებას, ასევე არ მოითხოვს მკვიდრი მოსახლეობის ერთსულოვან მხარდაჭერას თუ კანონით არ არის განსაზღვრული. კომპანიას არ ევალება ისეთი საკითხების შესრულება, რაც მათი კონტროლის ქვეშ არაა.
5. თანხმობის მისაღებად, კომპანიებმა უნდა ითანამშრომლონ პასუხისმგებელ სამთავრობო ორგანოებთან. იმ შემთხვევებში, თუკი მოსახლეობის ინტერესების მართვის ვალდებულება მთავრობას აკისრია, კომპანიას ჩართულობის შესაძლებლობა ეზღუდება.
6. არსებობს იმის რისკი/ალბათობა, რომ განსხვავებული მოსაზრებების გაჩენამ, შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კეთილსინდისიერ მოლაპარაკებაზე. განსხვავებული მოსაზრებების გაჩენის შემთხვევაში კომპანიებმა და მკვიდრმა მოსახლეობამ უნდა იხელმძღვანელოს სხვა მიდგომებით, მაგალითად პროცესში ჩაერთოს შუამავალი/მედიატორი. თუ ყველა მხარის ჩართულობის და განუელი ძალისხმევის მიუხედავად შეთანხმება ვერ შედგა, მთავრობამ შესაძლებელია პროექტის განხორციელების ნებართვა მისცეს კომპანიას, თუმცა მკვიდრი მოსახლეობის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, დაუნესოს გარკვეული ვალდებულებები შესასრულებლად. ამ შემთხვევაში, საბჭოს წევრები თვითონ განსაზღვრავენ გააგრძელონ პროექტის განხორციელება თუ არა.

# ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ვერცხლისწყლის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების მართვის შესახებ

## მიმოხილვა

საბჭოს წევრები აღიარებენ ვერცხლისწყლის პასუხისმგებლიანი მართვის მნიშვნელობას. საბჭოს წევრები არ არიან ვერცხლისწყლის პირველადი მწარმოებლები და არც მადნის დამუშავების დროს არ იყენებენ მას. თუმცა, ვერცხლისწყალი წარმოადგენს ბუნებრივ ელემენტს და ზოგჯერ მადნის შემადგენლობაში გვხვდება. ამიტომ, შესაძლოა საბჭოს წევრმა კომპანიებმა შეაგროვონ ის როგორც პროდუქტი.

ვერცხლისწყალი გლობალური დამაბინძურებელია, შესაბამისად არსებობს ლეგიტიმური მოთხოვნა მისი ეფექტური მართვის შესახებ. საბჭოს წევრები მკაცრად აკონტროლებენ მის გარემოში გავრცელებას, სრულად აღიარებენ ვერცხლისწყლთან დაკავშირებულ პოტენციურ რისკებს და ადასტურებენ მისი ეფექტიანი მართვის აუცილებლობას.

ვერცხლისწყალს ფართოდ და ზოგჯერ არალეგალურად გამოიყენებენ კუსტარულად მომუშავე პირები ოქროს მოპოვებისას. ამ დროს ვერცხლისწყლის გამოყენება მთლიანად უკონტროლოა და ის გარემოში პირდაპირ ვრცელდება. საბჭოს გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესაბამისად, წევრები ცდილობენ ხელი შეუწყონ ვერცხლისწყლის პასუხისმგებლიან მართვას, რომელსაც გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე პოტენციური ზემოქმედების მოხდენა შეუძლია.

## ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს პრინციპებისა და სახელმძღვანელო მითითებების შესახებ ფონური ინფორმაცია

კომპანიების მიერ მდგრადი განვითარების პრინციპების განხორციელება საბჭოს წევრობის წინაპირობაა, რაც მოიცავს, მდგრადი განვითარების 10 პრინციპის განხორციელებას საქმიანობის პროცესში.

ვერცხლისწყლის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების მართვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებებისათვის რეგულაციურია მე-4, მე-6 და მე-8 პრინციპი.

პრინციპების მიხედვით, საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭომ, სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით უნდა მოამზადოს სახელმძღვანელო მითითებები, რაც შემდეგ საბჭოს წევრმა კომპანიებმა თავიანთ პრაქტიკაში უნდა დანერგონ.

აქ მოცემული სახელმძღვანელო მითითებები განსაზღვრავს საბჭოს წევრი კომპანიების მიდგომას საქმიანობის პროცესში ვერცხლისწყლის მართვასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქედან, რომ საბჭოს წევრი ბოგიერთი კომპანიის საქმიანობის დროს, გარემოში ხდება ვერცხლისწყლის გავრცელება საბჭოს წევრები შეთანხმდნენ შემდეგ მითითებებზე.

## **განცხადების აღიარება**

საბჭოს წევრები აღიარებენ, რომ:

1. ვერცხლისწყალი ლითონია, რომელიც ატმოსფეროში გლობალურად ვრცელდება და უარყოფით ზემოქმედებას ახდენს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე.
2. მიუხედავად იმისა, რომ ვერცხლისწყალთან დაკავშირებული მეცნიერული კვლევები კვლავ გრძელდება, საკმარისი ინფორმაცია არსებობს იმისათვის, რომ გარემოში მისი გავრცელების აღსაკვეთად, სათანადო ზომები გავატაროთ.
3. საბჭოს წევრი კომპანიები არ ფლობენ ვერცხლისწყლის მოპოვების უფლებას, თუმცა საქმიანობის პროცესში შესაძლოა მოხდეს მისი გავრცელება, რადგან ვერცხლისწყალი ბუნებრივი ნაერთის სახით გვხვდება ბოგიერთ პროდუქტში (მაგალითად, მინერალებსა და კონცენტრატებში), ასევე კომპანიები შესაძლოა ფლობდნენ/მოიხმარდნენ ვერცხლისწყალ შემცველ პროდუქტებს (მაგალითად, ნათურებს და გადამრთველებს).
4. საბჭოს წევრებმა, საქმიანობის პროცესში ვერცხლისწყლის ჰაერში გავრცელებისა და ვერცხლისწყალშემცველი პროდუქტების გამოყენების შემცირების კუთხით, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს.
5. ვერცხლისწყალი, მნიშვნელოვანი რესურსია, რომელსაც განვითარებად ქვეყნებში დიდი წვლილი შეაქვს მდგრად განვითარებაში, ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესების კუთხით.
6. თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, საბჭოს წევრი კომპანიების მიერ, ვერცხლისწყლის მოხმარების საკითხი ინტეგრირებულ უნდა იქნას სტრატეგიაში მისი თანდათანობით შემცირების ან საერთოდ აღმოფხვრის კუთხით.
7. კვლევებმა აჩვენა, რომ პატარა კომპანიები, რომლებიც კუსტარულად მოიპოვებენ ოქროს არიან ვერცხლისწყლის ყველაზე დიდი მომხმარებლები და შეიძლება გარემოში ყოველწლიურად ვერცხლისწყლის გავრცელების კუთხით ყველაზე დიდ როლს თამაშობდნენ.
8. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სირთულეების ფარგლებში, არის შესაძლებლობა, რომ პატარა კომპანიებს, რომლებიც კუსტარულად მოიპოვებენ მადანს, პროდუქტიულობის გაზრდისა და გარემოში ვერცხლისწყლის გავრცელების შემცირებისათვის გადაეცეთ შესაბამისი ტექნოლოგიები.

9. ვერცხლისწყალთან დაკავშირებული საკითხები გლობალურ დონეზე გარკვეული ქმედებების გატარებას და ვერცხლისწყლის პასუხისმგებლიანი მართვისათვის, დაინტერესებულ მხარეებთან მოლაპარაკებების წარმოებას საჭიროებს.

## **საბჭოს წევრების ვალდებულებები**

მდგრადი განვითარების პრინციპებისა და ქიმიკატების საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მიდგომის (Strategic Approach to International Chemicals Management; SAICM) შესრულების გარდა, საბჭოს წევრები ვალდებულები არიან:

1. არ იმუშავონ საბადოზე, ვერცხლისწყლის პირველადი მოპოვების მიზნით.
2. საბჭოს წევრმა კომპანიებმა, საქმიანობის პროცესში დანერგონ ვერცხლისწყლის პასუხისმგებლიანი მართვის სისტემა.
3. საქმიანობის პროცესში მოახდინონ ჰაერის ვერცხლისწყლით დაბინძურების შესწავლა და დათვლა. ასევე, ეფექტური და ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების გამოყენებით მინიმუმამდე დაიყვანონ მისი გავრცელების რისკი.
4. ანგარიშების გლობალური ინიციატივის ფარგლებში მოახდინოს საქმიანობის პროცესში ჰაერში ვერცხლისწყლის გავრცელების შესახებ ანგარიშგება.
5. იმ ადგილებზე, სადაც საბჭოს წევრი კომპანიები ახორციელებენ საქმიანობას, მთავრობასთან თანამშრომლობით, იმუშაონ, რათა თავიანთი საქმიანობის ტერიტორიაზე მყოფი მცირე მენარმეები, რომლებიც ტრადიციული გზით მოიპოვებენ მადანს, აღჭურვონ ისეთი ტექნოლოგიებით, რომლითაც შეამცირებენ ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედებას და პროდუქტიულობის გაზრდითაც გააუმჯობესებენ მათი საარსებო წყაროს.
6. ხელი შეუწყონ, ვერცხლისწყლის მართვასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევების განვითარებას.
7. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად იმუშაონ სტრატეგიის შექმნაზე, რომელიც ხელ შეუწყობს, გლობალურ ბაზარზე ვერცხლისწყლი მოხვედრის სრულად აღკვეთას ან მის შემცირებას.

# ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები წყლის მართვის შესახებ

## მიმოხილვა

აქ მოცემული სახელმძღვანელო მითითებები განსაზღვრავს საბჭოს წევრი კომპანიების მიდგომას წყლის მართვასთან მიმართებაში. წყლის მართვა არის წყლის გამოყენების ისეთი გზა, რომელიც სოციალურად სამართლიანია, ეკოლოგიურად მდგრადია და ეკონომიკურად სარგებლის მომტანია. წყლის მდგრადი მართვა გულისხმობს ყველა მხარის: მთვარობის, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნეს სექტორის, ადგილობრივი თემებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობას და მათ თანამშრომლობასა და შეთანხმებული ქმედებების განხორციელებას.

ამ სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით, წევრი კომპანიები ვალდებული არიან:

- გამოიყენონ ძლიერი და გამჭირვალე წყლის რესურსების მართვის სისტემა;
- მართონ წყალი ეფექტურად;
- ითანამშრომლონ წყლის მდგრადი და პასუხისმგებლიანი გამოყენებისათვის.

სახელმძღვანელო მითითებები არ ვრცელდება ძველ საქმიანობებზე.

## ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს პრინციპებისა და სახელმძღვანელო მითითებების შესახებ ფონური ინფორმაცია

კომპანიების მიერ მდგრადი განვითარების პრინციპების განხორციელება საბჭოს წევრობის წინაპირობაა, რაც მოიცავს, მდგრადი განვითარების 10 პრინციპის განხორციელებას საქმიანობის პროცესში.

წყლის მართვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებებისათვის რელევანტურია მე-3, მე-4, მე-6, მე-7 და მე-10 პრინციპი.

პრინციპების მიხედვით, საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭომ, სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით უნდა მოამზადოს სახელმძღვანელო მითითებები, რაც შემდეგ საბჭოს წევრმა კომპანიებმა თავიანთ პრაქტიკაში უნდა დანერგონ.

## განცხადების აღიარება

საბჭოს წევრები აღიარებენ, რომ:

1. წყალი სოციალური, კულტურული, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ღირებულებით ფასდაუდებელი საზიარო/საერთო რესურსია. წყალზე ხელმისაწვდომობის უფლება

აღიარებულია როგორც უფლება; ბევრი თემისთვის მას აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგანაც ის წარმოადგენს მათი კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვან რესურსს და მათ საარსებოს წყაროს. ასევე თემებს წყალთან კულტურული და სულიერი კავშირი აქვს. ასევე, წყალს ეკოსისტემების და ეკოსისტემური სერვისების ჯანსაღი ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

2. ლითონებისა და სამთო მოპოვებითი მრეწველობის ოპერირების პროცესში წყალს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რადგან ის საჭიროა დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, აგრეთვე საქმიანობის დასრულების ჩათვლით, მისი გამოიყენება ხდება ყველა ეტაპზე. ლითონებისა და სამთო მრეწველობაში საერთო რესურსზე დამოკიდებულება და მასზე ზემოქმედება მატერიალურ რისკს ქმნის, ამიტომ საჭიროა ეფექტური მართვის გეგმის არსებობა.
3. მთელ მსოფლიოში, წყალთან დაკავშირებული გამოწვევები იზრდება. დედამიწაზე მტკნარი წლის რესურსები შეზღუდულია და ზემოქმედებას განიცდის ინდუსტრიალიზაციის, ურბანიზაციის, კლიმატის ცვლილებისა და გაზრდილი მოსახლეობის რაოდენობის საჭიროებების გამო.
4. ეს გამოწვევები როგორც ქვეყნებისთვის, ასევე სამრეწველო სექტორისთვის და სამოქალაქო საზოგადოებისთვისაც საერთოა. წყლის გამოყენებაში, მართვასა და მის გაზიარებაში, საჭიროა ცვლილებების განხორციელება - მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამისათვის საჭიროა ყველა მხარის: მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნეს სექტორის, ადგილობრივი თემების თანამშრომლობა და მათ მიერ შეთანხმებული ქმედებების განხორციელება.
5. მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, მსოფლიო ლიდერებმა საჯაროდ აღიარეს, რომ საჭიროა წყლის მდგრადი გამოყენება და მართვა. ამ მიდგომის მხარდასაჭერად, ბიზნეს სექტორს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს, მათ შორის, სამუშაო ადგილზე დასაქმებულთათვის სუფთა წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის ხელმისაწვდომობის კუთხით. ბიზნეს სექტორს აქვს შესაძლებლობა მთავრობის ინიციატივას დაუჭიროს მხარი და თავიანთი ფულადი რესურსის გამოყენებით გააუმჯობესონ სუფთა წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ხელმისაწვდომობა მოსახლეობისათვის, ან იმუშაონ წყალთან დაკავშირებული სხვა პრობლემების მოგვარების კუთხით.
6. ძირითადად, წყალზე ზემოქმედებაზე და მასთან დაკავშირებული რისკებზე ცოდნა და გამოცდილება აქვს მოსახლეობას ადგილობრივ დონეზე, ამიტომ, კომპანიებმა წყლის მართვის გეგმის შემუშავებისას უნდა ითანამშრომლონ ადგილობრივებთან და გამოიყენონ ტრადიციული ცოდნა. წყლის ეფექტური მართვის სისტემის შესამუშავებლად, აგრეთვე საჭიროა ჰიდროლოგიის და მიწის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა, ასევე იმის შესწავლა, თუ რა გავლენას ახდენს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური დინამიკა წყლის ხარისხზე და მის ხელმისაწვდომობაზე.

7. წყლის რესურსების მდგრად მართვაში სამთო საქმიანობა მნიშვნელოვანი როლს თამაშობს. წყალთან დაკავშირებული რისკების შემცირების, შესაძლებლობების განსაზღვრის, ინვესტიციების მოზიდვის და ნდობის მოპოვებისათვის, ადრეულ ეტაპზე, წყლის მართვის სტრატეგიის შემუშავებას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

## **საბჭოს წევრების ვალდებულებები**

მდგრადი განვითარების პრინციპების შესრულების გარდა, საბჭოს წევრები ვალდებულები არიან:

### **შემუშაონ ძლიერი და გამჭვირვალე წყლის მართვის სტრატეგია**

- გაასაჯაროს წყლის მართვის შესახებ კომპანიის მიდგომა;
- ნათლად ჩამოაყალიბოს წყალთან მიმართებაში თავიანთი ვალდებულებები და გახადონ საჯარო ის;
- ბიზნესთან დაკავშირებული გეგმის შემუშავებისას გაითვალისწინონ წყალთან დაკავშირებული საკითხები - კომპანიის სტრატეგიის შემუშავების, ასევე ინვესტიციების დაგეგმვის დროს;
- საჯაროდ მოახდინონ ანგარიშგება: წყლის მართვასთან დაკავშირებით გატარებული ქმედებების, მატერიალური რისკების, კომპანიის შესაძლებლობების და მართვის შესახებ.

### **ეფექტურად მართონ წყალი**

- შეინარჩუნონ წყლის ბალანსი და მისი გამოყენების შემთხვევაში შეისწავლოს სხვა მომხმარებლებზე კუმულაციური ზემოქმედება;
- შეისწავლოს ტერიტორიაზე წყლის ობიექტები და მასთან დაკავშირებული მატერიალური რისკები;
- გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შემცირებისათვის, პროაქტიულად მართონ წყლის მარაგი და მისი ხარისხი.
- ყველა დასაქმებული უზრუნველყონ სუფთა სასმელი წყლით. სამუშაო ადგილზე როგორც ქალებისთვის, ასევე მამაკაცებისთვის შექმნან სათანადო ჰიგიენური და სანიტარული პირობები.

### **ითანამშრომლონ წყლის პასუხისმგებლიანი და მდგრადი გამოყენებისათვის**

- წყალშემკრებ დონეზე მოახდინოს წყალთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, შეფასება და სათანადო რეაგირება;
- მოახდინონ იმ პირების იდენტიფიცირება ვისზეც შეიძლება წყლის გამოყენებამ ზეგავლენა იქონიოს და ჩართონ პროცესში.
- წყლის ინტეგრირებული მართვისათვის, მდგრადი, პროგნოზირებადი და ეფექტური რეგულაციების მხარდასაჭერად, აქტიურად ითანამშრომლონ მთავრობასთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.
- მხარი დაუჭირონ წყლის მართვის ისეთ ფორმას, რომ ხელი შეუწყონ წყლის უკეთ გამოყენებას, წყალშემკრები აუზის ეფექტურ მართვას, წყლის ხარისხისა და სანიტარიის გაუმჯობესებას.

# ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და დაცული ტერიტორიების შესახებ

## მიმოხილვა

ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს კომპანიის წევრები აღიარებენ მიწაზე ხელმისაწვდომობასთან და მიწის კონკურენტულ გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. დოკუმენტში, ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭო აქცენტს აკეთებს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მნიშვნელობაზე, დაცული ტერიტორიებისათვის სათანადოდ შერჩეული მართვის სისტემების საჭიროებაზე და მიწათსარგებლობის დაგეგმვის ინტეგრირებულ მიდგომებზე.

## ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს პრინციპებისა და სახელმძღვანელო მითითებების შესახებ ფონური ინფორმაცია

კომპანიების მიერ მდგრადი განვითარების პრინციპების განხორციელება საბჭოს წევრობის წინაპირობაა. რაც მოიცავს, მდგრადი განვითარების 10 პრინციპის განხორციელებას საქმიანობის პროცესში.

დაცული ტერიტორიების შესახებ სახელმძღვანელო მითითებებისათვის რელევანტურია მე-6 და მე-7 პრინციპი.

პრინციპების მიხედვით, საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭომ, სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით უნდა მოამზადოს სახელმძღვანელო მითითებები, რაც შემდეგ საბჭოს წევრმა კომპანიებმა თავიანთ პრაქტიკაში უნდა დანერგონ.

სახელმძღვანელო მითითებები საბჭოს წევრებს უწესებს მიდგომებს დაცულ ტერიტორიასთან და სამთო მოპოვებულ ტერიტორიებთან მიმართებაში, რათა მათ არ განახორციელონ მოკვლევისა და სამთო სამუშაოები მსოფლიო კულტურული მემკვირვების ტერიტორიებზე, ასევე, IUCN-ის დაცული ტერიტორიების სისტემის კატეგორიზაციის გაუმჯობესების მიზნით, ითანამშრომლონ ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირთან (IUCN).

## განცხადების აღიარება

საბჭოს წევრები აღიარებენ, რომ:

1. წევრი კომპანიები, თავიანთი საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწევენ გარემოზე და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემცირების თვალსაზრისით. ასევე, ბევრი მათგანი გახდება ლიდერი ისეთი ტექნიკის გამოყენებასა და დანერგვაში, რაც ხელს შეუწყობს



მინის რეაბილიტაციისა და ეკოსისტემების აღდგენას. დღეისათვის, სხვა განმახორციელებლებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის გაუმჯობესებაში, მათ შორის ფლორისა და ფაუნის უნიკალური სახეობების შეფასებასა და კონსერვაციაში, დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის სისტემის კვლევის, განვითარებისა და მხარდაჭერაში.

2. სწორად დაარსებული და მართული დაცული ტერიტორიების როლს ინ-სიტუ კონსერვაციის სტრატეგიაში. სხვადასხვა ტიპის დაცული ტერიტორიების ყოვლისმომცველი და წარმომადგენლობითი სიების არსებობა მნიშვნელოვანია, იმისათვის, რომ ეკოსისტემები, ჰაბიტატები, სახეობები დაცული იყოს ზიანის მიყენების და განადგურებისაგან, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც ადამიანის ზემოქმედების შედეგად მოდიფიცირებული არ არის და აღსანიშნავია მათი მაღალი ღირებულების, იშვიათობის, სენსიტიურობის თვალსაზრისით.

3. ზოგიერთ შემთხვევაში, ტექნიკურად და ეკონომიკურად ზიანის შემცირებისათვის გადადგმული ნაბიჯების შესრულების მიუხედავადაც კი, საძიებო და სამთო მოპოვებითი სამუშაოები, შეიძლება შეუსაბამო იყოს იმ მიზნებისათვის, რაც მათ დაცვას ემსახურება.

4. მინის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გადანყვეტილების მიღების პროცესში, საჭიროა დაცული ტერიტორიების შეფასების, დაარსების, კლასიფიკაციისა და მართვის ეროვნული და გლობალური სისტემის არსებობა. ასეთი სისტემები უნდა იყოს გამჭვირვალე, ღრმა, მეცნიერულ კვლევებზე დამყარებული და კულტურასთან თანხმობაში. სისტემა მხარს უნდა უჭერდეს, სამართლებრივ კონტროლს და სამართლიან მინათსარგებლობას, კონსერვაციასა და მიზნების განვითარებას.

5. პროექტის შეფასებისა და გადანყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს დაცულ ტერიტორიაზე არსებული მინერალური რესურსების განვითარების პოტენციალი, ასევე მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მახასიათებლები. ასევე, ყურადღება უნდა მიექცეს სამთო მოპოვებითი საქმიანობის ისე წარმართვას და ისეთი ტექნოლოგიების გამოყენებას, რომელიც გარემოს ნაკლებ ზიანს მიაყენებს.

6. დაცული ტერიტორიების შეფასების, აღნიშვნის, მართვისა და ცვლილების დროს მიღებული გადანყვეტილებები, უნდა ეფუძნებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპებს, ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას, ადგილობრივი თემების მოსაზრებები, მათ შორის პროცესში ჩართული უნდა იქნას რეგიონისა და მკვიდრი მოსახლეობა. თუ შესაძლებელია, განვითარების პროცესი მიმართულ უნდა იქნას, სიღარიბის დაძლევისა და სოციალური განვითარებისათვის.

7. კონვენცია მსოფლიო კულტურულ და ბუნებრივ ღირებულებათა დაცვის შესახებ, ასევე, საბჭოს წევრები აღიარებენ მკაცრად დაცული/ხელშეუხებელი ტერიტორიების მნიშვნელობას.

8. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წევრი კომპანიები განახორციელებენ სახელმძღვანელო მითითებებს, ისინი ვერ აგებენ პასუხს გარე პირების თუ ცალკეული პატარა კომპანიების ქმედებებზე (როგორცაა არალეგალური მეშახტეები), მიუხედავად იმისა, რომ ამ მეშახტეების ქმედებებმა

შეიძლება ძირი გამოუთხაროს ყველა იმ ქმედებას, შემარბილებელ ღონისძიებებს და მცდელობებს, რასაც საბჭოს წევრი კომპანიები გააკეთებენ.

## **საბჭოს წევრების ვალდებულებები**

მდგრადი განვითარების პრინციპების შესრულების გარდა, საბჭოს წევრები ვალდებულები არიან:

1. პატივი სცენ კანონიერად დაარსებულ დაცულ ტერიტორიებს და უზრუნველყონ, რომ მათი ქმედებები არ იყოს შეუთავსებელი ამ ტერიტორიის თავისებურებებთან.
2. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიებზე არ აწარმოონ სამთო მომპოვებელი და კვლევითი სამუშაოები. ყოველი გადადგმული ნაბიჯი მიმართული უნდა იქნეს იმისათვის, რათა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიებზე არსებული, ან მის მომიჯნავედ დაგეგმილი სამთო სამუშაოები შეუთავსებელი და ზიანის მომტანი არ იყო ამ ტერიტორიებისათვის, ან არ დააყენოს რისკის ქვეშ.
3. ახალი სამთო მომპოვებელი საქმიანობის ან არსებულის ცვლილების დროს, ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად, საქმიანობის პროცესში თანმიმდევრულად გამოყენებულ უნდა იქნას შემარბილებელი ღონისძიებები.
4. გამჭირვალე, ყოვლისმომცველი, ინფორმირებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესის განვითარებისათვის, საბჭომ უნდა ითანამშრომლოს და იმუშაოს ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირთან, მთვარობებთან, სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებთან, განვითარებისა და კონსერვაციის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვებთან. ასევე, დანერგოს ისეთი ინსტრუმენტები, რომლის საშუალებითაც მოხდება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, დაცული ტერიტორიების, მკაცრად დაცული/ხელშეუხებელი ტერიტორიების (სადაც უცხო პირთა შესვლა აკრძალულია) და სამთო მოპოვების ინტეგრირება მინათსარგებლობისა დაგეგმვაში და მენეჯმენტის სტრატეგიებში.
5. იმისათვის, რომ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაში სამთო მომპოვებელმა საქმიანობამ წვლილი შეიტანოს, საუკეთესო პრაქტიკის შემუშავებისათვის, საბჭომ უნდა იმუშაოს ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირთან და სხვებთან ერთად.

# ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები კუდსაცავებთან დაკავშირებული კატასტროფების პრევენციის/თავიდან აცილების შესახებ

## მიმოხილვა

აქ მოცემული სახელმძღვანელო მითითებები განსაზღვრავს, ლითონებისა და სამთო-მოპოვებით მრეწველობაში კუდსაცავებთან დაკავშირებული კატასტროფების რისკების შემცირებისა და მისი მართვის შესახებ, საბჭოს წევრი კომპანიების მიდგომას.

კუდები არის სამთო მრეწველობის შედეგად მიღებული მყარი და წყლისშემცველი ნარჩენების ერთობლიობა. მადნის სახეობის და მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით: თუ სად მოიპოვებენ მადანს, როგორ გეოლოგიურ თუ კლიმატურ პირობებში, კუდების ქიმიური და ფიზიკური თვისებებიც განსხვავდება. კუდსაცავები უმეტესწილად მიწის ზედაპირზე, ისეთ ტერიტორიებზე არის განთავსებული, რომელიც სამთო მოპოვებითი სამუშაოების ზემოქმედების ქვეშაა.

ამ სახელმძღვანელო მითითებების მიზანია, კუდსაცავების მმართველობის ჩარჩოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს კუდსაცავებთან დაკავშირებული კატასტროფების რისკების მინიმუმამდე შემცირებას. კუდსაცავების მმართველობის ჩარჩოს ექვსი ძირითადი ელემენტია:

- ანგარიშვალდებულება, პასუხისმგებლობა და კომპეტენტურობა;
- დაგეგმარება და რესურსების მოძიება;
- რისკების მართვა;
- ცვლილების მართვა;
- საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნა და რეაგირება;
- შემოწმება და დაბლვება

## ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს პრინციპებისა და სახელმძღვანელო მითითებების შესახებ ფონური ინფორმაცია

კომპანიების მიერ მდგრადი განვითარების პრინციპების განხორციელება საბჭოს წევრობის წინაპირობაა, რაც მოიცავს, მდგრადი განვითარების 10 პრინციპის განხორციელებას საქმიანობის პროცესში.

კუდსაცავებთან დაკავშირებული კატასტროფების პრევენციის/თავიდან აცილების შესახებ სახელმძღვანელო მითითებებისათვის რეგულაციური პირველი, მე-2, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-10 პრინციპი.

პრინციპების მიხედვით, საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, ლითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭომ, სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით უნდა მოამზადოს სახელმძღვანელო მითითებები, რაც შემდეგ საბჭოს წევრმა კომპანიებმა თავიანთ პრაქტიკაში უნდა დანერგონ.

## **განცხადების აღიარება**

საბჭოს წევრები აღიარებენ, რომ:

1. კუდების წარმოქმნა სამთო მრეწველობის განუყოფელი ნაწილია და მომავალშიც ასე იქნება. მათი ხანგრძლივად უსაფრთხო შენახვისა და მართვისათვის, საჭიროა გარკვეული ტექნოლოგიური გადანყვეტილებები.
2. კუდსაცავები არსებობის პერიოდში განიცდიან გარკვეულ ცვლილებებს, ამიტომ მისი უსაფრთხოებისა და სტრუქტურული მთლიანობის დასაცავად საჭიროა მისი მართვა.
3. კუდსაცავებთან დაკავშირებული კატასტროფები დაუშვებელია, ამიტომ კომპანიებმა კატასტროფების პრევენციისათვის უნდა შეიმუშაონ სათანადო სისტემა და დანერგონ სტანდარტები.
4. კუდსაცავების კატასტროფასთან დაკავშირებული საკითხი გათვალისწინებულ უნდა იქნას მისი არსებობის ყველა ეტაპზე: პროექტის დაგეგმვის, მშენებლობის, ექსპლუატაციის და დახურვის ჩათვლით.
5. კუდსაცავების კატასტროფების თავიდან აცილება შესაძლებელია, თუკი ტექნიკური პარამეტრები გათვალისწინებული იქნება პროექტის დაგეგმვის, მშენებლობის, ექსპლუატაციის და დახურვის ეტაპებზე. საქმიანობის განმახორციელებლები და კომპანიის მფლობელები, ამისათვის კომპეტენტურ ექსპერტებსა და დამპროექტებლებს ქირაობენ. თუმცა, ზოგიერთი ბუნებრივი ექსტრემალური მოვლენის პროგნოზირება მაინც შეუძლებელია.
6. კუდსაცავები განსხვავდება ერთმანეთისაგან განთავსების ადგილების, მინერალური მახასიათებლების, ტექნოლოგიების და თავად საცავის გადანყვეტილებები მიხედვით. ამასთან, არცერთი კუდსაცავი და მისი ოპერირების პროცესი არ არის მისაბადი, რადგან ინდუსტრია მუდმივად ცდილობს, გააუმჯობესოს და განავითაროს ტექნიკა და ახალი ტექნოლოგიები, რათა შემდგომ სათანადოდ გამოიყენოს ის.

## **საბჭოს წევრების ვალდებულებები**

საბჭოს წევრები ვალდებულები არიან, კუდსაცავებთან დაკავშირებული კატასტროფების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, მდგრადი განვითარების პრინციპების შესრულების გარდა, განახორციელონ საქმიანობა კუდსაცავების მმართველობის ჩარჩოს შესაბამისად.

## **კუდსაცავების მმართველობის ჩარჩო**

კუდსაცავების მმართველობის ჩარჩოს მიზანია, კუდსაცავებთან დაკავშირებული კატასტროფების პრევენციისათვის, მართვის პროცესში ჩარჩოს ექვს ელემენტზე ფოკუსირება/ყურადღების გამახვილება.

### **ანგარიშვალდებულება, პასუხისმგებლობა და კომპეტენტურობა**

ანგარიშვალდებულება, პასუხისმგებლობა და მასთან დაკავშირებული კომპეტენცია განსაზღვრავს კუდსაცავებთან დაკავშირებული კატასტროფების რისკების იდენტიფიცირებას და მის სათანადოდ მართვას.

- კუდსაცავების მმართველობის ანგარიშვალდებულება საქმიანობის განმახორციელებლებსა და კომპანიის მფლობელებს აკისრიათ.
- ორგანიზაციის სტრუქტურა და როლები განაწილებული უნდა იყოს იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს კუდსაცავების რისკების მართვას და კუდსაცავების ანგარიშვალდებულებიან მმართველობას.
- იმისათვის, რომ პერსონალმა გაითავისოს თავიანთი პასუხისმგებლობა, ასევე განივითარონ ცოდნა და უნარები საჭიროა მათთან კომუნიკაცია და ტრენინგების ჩატარება.
- კომპანიის სტრუქტურის ფარგლებში განისაზღვრება, პერსონალის კომპეტენციასთან და გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

### **დაგეგმარება და რესურსების მოძიება**

კუდსაცავების სრული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, მისი მართვისა და მმართველობისათვის საჭიროა ადამიანური და ფინანსური რესურსები.

- კუდსაცავების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები და ადამიანური რესურსი საქმიანობის დაგეგმვის პროცესში უნდა იყოს განსაზღვრული;
- ინფორმაცია კუდსაცავების განსახორციელებლად საჭირო რესურსების შესახებ, კუდსაცავების მმართველობის ჩარჩოს ფარგლებში უნდა იყოს მომზადებული.

### **რისკების მართვა**

კუდსაცავებთან დაკავშირებული რისკების მართვა, გულისხმობს რისკების იდენტიფიცირებას, კონტროლისათვის სათანადო რეჟიმის ჩამოყალიბებას და ამ კონტროლის მეთოდის გადამოწმებას.

- ყველაზე ცუდი სცენარს გათვალისწინებით ხდება რისკების კონტროლთან და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავება.
- კუდსაცავების ეფექტური კონტროლის ჩამოსაყალიბებლად, მასთან დაკავშირებული რისკების შეფასებისა და იდენტიფიცირების პროცესში გამოცდილი და მაღალკვალიფიციური ექსპერტები უნდა მონაწილეობდნენ.

- რისკის კონტროლის, მასთან დაკავშირებული მონიტორინგის, შიდა ანგარიშგებისა და გატარებული ღონისძიებების გადამოწმებისთვის უნდა შემუშავდეს ეფექტურობის კრიტერიუმი.

### **ცვლილების მართვა**

კუდსაცავების მთლიანობის რისკის ქვეშ დაყენების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა პოტენციურ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკების შეფასება და კონტროლი.

- ცვლილებების მართვის პროცესი გამოიყენება იმისათვის, რომ შიდა და გარე ფაქტორებიდან გამომდინარე რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და კონტროლის საშუალებით, თავიდან ავირიდოთ კუდსაცავების მთლიანობასთან დაკავშირებული არასასურველი და გაურკვეველი რისკები.
- კუდსაცავების დაგეგმვასთან, დაპროექტებასთან, მშენებლობასთან, ექსპლუატაციასთან, კონტროლთან, მართვასთან და მმართველობასთან დაკავშირებული დოკუმენტები და ანგარიშები, უნდა იყოს სათანადოდ შენახული და ხელმისაწვდომი.

### **საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნა და რეაგირება**

საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნა და რეაგირება გულისხმობს, პოტენციური კატასტროფიდან გამომდინარე კუდსაცავების რღვევის დროს სათანადო მზადყოფნას, რეაგირებასა და პოტენციური ზემოქმედების შერბილებას.

- საჭიროა ადრეული გაფრთხილების სისტემის არსებობა.
- ყველაზე ცუდი სცენარის გათვალისწინების შედეგად უნდა მოხდეს საგანგებო სიტუაციების მზადყოფნისა და რეაგირების გეგმების შემუშავება. ასეთი გეგმები განსაზღვრავს, პროცედურებს, კომპანიის როლს და მის პასუხისმგებლობას.
- საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნასთან და რეაგირებასთან დაკავშირებული გეგმები პერიოდულად მოწმდება.

### **შემოწმება და დაზღვევა**

კუდსაცავების შიდა და გარე შემოწმებისა და დაზღვევის პროცესი, იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ სრულყოფილად შეფასდეს კუდსაცავების რისკების კონტროლი და კონტროლის შეფასების მეთოდი მუდმივად გაუმჯობესდეს.

- მონიტორინგი და ინსპექტირება უნდა განხორციელდეს ყველაზე ცუდ სცენარზე დაყრდნობით და მუდმივად უნდა გაგრძელდეს რისკების კონტროლის ეფექტურობის გაუმჯობესებაზე მუშაობა.
- კუდსაცავების შემოწმებასა და დაზღვევასთან დაკავშირებული ქმედებებისა და შედეგების შესახებ ინფორმაცია ჩანერილი, განხილული და უცხო პირთათვის დახურული უნდა იყოს.
- მუდმივად უნდა მომზადდეს ანგარიში, კუდსაცავების რისკების მართვის შესრულებასთან დაკავშირებით.

# ღითონების და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები კლიმატის ცვლილების პოლიტიკისათვის

## შესავალი

2009 წლის ნოემბერში, საბჭომ გამოსცა კლიმატის ცვლილების შესახებ პოლიტიკა: დაბალემისიური ეკონომიკის მართვისთვის, გლობალური გადაწყვეტების განვითარება. პოლიტიკა ეყრდნობა, საბჭოს მიერ 2006 წელს გამოქვეყნებულ სახელმძღვანელო მითითებებს და განსაზღვრული იყო 2009 წლის დეკემბერში, კოპენჰაგენში გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) კონფერენციისთვის.

გარდამავალ პერიოდში, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მდგომარეობა იცვლებოდა. ახლა ნათელია, რომ საერთაშორისო შეთანხმება, შორეულ პერსპექტივაში, მოიცავს ყველა წამყვანი ქვეყნის ეკონომიური საქმიანობიდან წარმოქმნილი ემისიების შესახებ ინფორმაციას. თანმიმდევრული და სტაბილური საერთაშორისო რეჟიმის ქონა მნიშვნელოვან გრძელვადიან მიზნად რჩება და საბჭოს მიმდინარე საქმიანობა ამ მიზნის მისაღწევად არის მიმართული.

თუმცა, უმეტესწილად, ეხლა patchwork რეჟიმი მოქმედებს, რაც ნიშნავს, რომ ყველა წამყვანი ქვეყანა, ქვეყნებს შიგნით არსებული ოლქი შეიმუშავებს და ატარებს დამოუკიდებელ პოლიტიკის ჩარჩოს და რეგულაციებს, ასევე განახორციელებს ინდივიდუალურ მიზნებს და ქმედებებს. ამ ახალი პოლიტიკის რეჟიმის ფარგლებში, სათბურის გაზების ემისიების შემცირებისაკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვის, განხორციელების და შემონშების შესახებ გადაწყვეტილება ეროვნულ დონზე უფრო მიიღება, ვიდრე პირიქით საერთაშორისო დონეზე.

შედეგად, ყველასათვის განსაკუთრებით მრავალეროვნული ჯგუფებისათვის, როგორცაა ღითონისა და სამთო მოპოვებითი მრეწველობის კომპანიები, იქნება კომპლექსური მარეგულირებელი გარემო.

საბჭო და მათი წევრები აღიარებენ, რომ სათბური გაზების ემისიების შემცირების მიზნით, განსაკუთრებით, ისეთ ადგილებში სადაც ემისიები პირდაპირი გზით წარმოიქმნება, მომხმარებლებმა უნდა გაითვალისწინონ ხარჯი, სათანადო პოლიტიკის და ღონისძიებების გატარებისთვის.

## მომავლის გეგმები

ინტეგრირებული და გლობალურად ეფექტური ნახშირორჟანგის რეჟიმის დაწესება, კვლავ საბჭოს გრძელვადიან მიზნად რჩება. მიმდინარე გლობალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ეროვნულ დონეზე, ეფექტური კლიმატის ცვლილებების პოლიტიკისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების მისაღწევად, საბჭო მხარს უჭერს ინტეგრირებული შვიდი პრინციპის გამოყენებას.

ამ პრინციპების თანმიმდევრულად გამოყენებით, შესაძლებელია დაბალნახშირბადშემცველი /დაბალემისიური (low carbon economy) ეკონომიკის განვითარება: 1. არ მიაყენონ ზიანი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მსხვილი მრეწველობას შორის კონკურენტუნარიანობას. 2. ხელი შეუწყონ, ისეთი ტექნოლოგიების განვითარებას და გამოყენებას, რომლის გამოყენების შემდეგაც გარემოში ნაკლები ნახშირორჟანგი გამოიყოფა. პრაგმატული მიდგომის მიზანია, დასახული შედეგების მიღწევა, კერძოდ, კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას პოტენციურად საზიანო და გაუთვალისწინებელი შედეგების მინიმიზაცია.

ამ ყველაფერთან მიმართებაში, საჭიროა კლიმატის ცვლილების პოლიტიკისა და ღონისძიებების შემუშავება, სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში, ხელი უნდა შეუწყონ, ეკონომიკურ ზრდას და სიღარიბის შემცირებას, ამასთან, გაზარდონ კლიმატის ცვლილების ადაპტაციისათვის ქვეყნების მზადყოფნა.

პრინციპები, მსოფლიოს სხვადასხვა სუვერენულ ქვეყნებს პოლიტიკის შემუშავებისა და განსახორციელებლად ჩარჩოს და მიდგომას სთავაზობს. ქვეყნებს შორის და ზოგჯერ ქვეყნის შიგნითაც კი პოლიტიკა განსხვავდება ერთმანეთისაგან. პრინციპები საჭიროა, შესაფერისი/ადექვატური ეროვნული პოლიტიკისა და ღონისძიებების შემუშავებისთვის.

თავის მხრივ, საბჭო წევრები ვალდებულნი არიან, შექმნან კანონიერი (legitimate platform) პლატფორმა, რისი საშუალებითაც, მონაწილეობას მიიღებენ პოლიტიკის შემუშავებაში და შეძლებენ პრინციპების ადვოკატირებას. როგორც მინიმუმ, საბჭოს წევრები იღებენ ვალდებულებას:

1. შეიმუშაონ სათბური გაზების ემისიის შემცირების სტრატეგია და დაბალემისიური ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები;
2. უზრუნველყონ ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენება;
3. ხელი შეუწყონ, სამთო მრეწველობასთან დაკავშირებული, ისეთი ტექნოლოგიების კვლევას და დანერგვას, რომლის გამოყენების შემდეგაც, გარემოში სათბური გაზების ემისიების დაბალი რაოდენობა გამოიყოფა.
4. შეაფასონ მიღებული შედეგები და პროგრესი.

## **ჩვენი კლიმატის ცვლილების პროგრამა**

2010 წლის ოქტომბერში, საბჭომ შეიმუშავა ყოვლისმომცველი და მკაცრი კლიმატის ცვლილების მართვის პროგრამა.

პროგრამის მზიანებია: 1. საბჭოს წევრმა კომპანიებმა გააგრძელონ მდგრად განვითარებაში წვლილის შეტანა, ამასთან ჩაერთონ რეზოლუციის შემუშავებაში, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ. 2. გააგრძელონ კონკურენტუნარიანობა სამთო მრეწველობაში დაბალემისიური ეკონომიკის განვითარების კუთხით.



ეს ინიციატივა მიზნად ისახავს, მომავალში დაბალემისიური ეკონომიკის განვითარებას. აგრეთვე, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის განვითარებისათვის ხელშეწყობას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინიციატივა პატივს სცემს და აღიარებს მსოფლიოს გარშემო განსხვავებულ კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ და ფიზიკურ გარემოს, ასევე, ქვეყნების განსხვავებულ პრიორიტეტებს (მაგალითად, ეს იქნება: სიღარიბის შემცირება, განვითარება, ადაპტაცია თუ ა.შ).

საბჭოს მიერ შემუშავებული კლიმატის ცვლილების პროგრამა, განხილულ უნდა იქნას ფართო საზოგადოების მიერ: მთავრობების, სამთო მრეწველობაში ჩართული კომპანიების, სამოქალაქო საზოგადოების და მედიის მონაწილეობით.

კლიმატის ცვლილების პროგრამის განხორციელება ემყარება:

- კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შვიდ პრინციპს;
- კლიმატის ცვლილების საკითხთან დაკავშირებულ სამ ძირითად მიმართულებას (რომლებიც, ლითონებისა და სამთო მოპოვებითი მრეწველობის კომპანიებისათვის მნიშვნელოვანია):
  - ✓ ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ კლიმატის ცვლილების პოლიტიკას და კონკურენტუნარიანობას;
  - ✓ მიწის გამოყენებას და კლიმატის ცვლილების მიმართა ადაპტაციას;
  - ✓ სათბურის გაზების ემისიების გაზომვას, ანგარიშგებას და მის კონტროლს;
- საბჭოს წევრი კომპანიების ვალდებულებებს.

## **კლიმატის ცვლილების პოლიტიკის პრინციპები**

საერთო ჯამში, ჩვენ მხარს ვუჭერთ ისეთი პოლიტიკისა და ქმედებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს დაბალემისიური ეკონომიკის ხელშესაწყობად კონკურენტუნარიანობას და სამთო მოპოვებითი მრეწველობის მნიშვნელოვან როლს მდგრად განვითარებაში. საბჭოს მიდგომა ემყარება შვიდი პრინციპის განხორციელებას. საერთო ჯამში, კლიმატის ცვლილების პოლიტიკის პრინციპებია:

1. სათბური გაზების ემისიების გრძელვადიანი პროგნოზირებისა და გაზომვის მიზნით, მკაფიო პოლიტიკის ჩამოყალიბება;
2. დაბალემისიური ეკონომიკის მართვისათვის, კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული შემოსავლების გამოყენება;
3. ვაჭრობასთან დაკავშირებული კონკურენტუნარიანობისათვის ხელის შეწყობა;
4. ყოვლისმომცველი პროგრამის შემუშავება;
5. პოლიტიკა უნდა იყოს პროგნოზირებადი და თანმიმდევრული;
6. პოლიტიკა უნდა იყოს მარტივი და ეფექტური;
7. დაბალემისიური ტექნოლოგიების განვითარებისთვის მხარის დაჭერა.

კლიმატის ცვლილების პოლიტიკის განსავითარებლად, საბჭო და მისი წევრები იმუშავებენ მთავრობებთან.

## **სათბური გაზების ემისიების გრძელვადიანი პროგნოზირებისა და გაზომვის მიზნით, მკაფიო პოლიტიკის ჩამოყალიბება**

### **რატომ არის ეს პრინციპი საჭირო?**

იმისათვის, რომ უზრუნველყოს კომპანიების მიერ მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, გარემოში ნაკლები ნახშირბადის გამოყოფის გზით. ასეთი, პოლიტიკა ასევე საჭიროა, დაბალემისიური ალტერნატივების დროულად განვითარების უზრუნველსაყოფად.

კლიმატის ცვლილებისადმი ნებისმიერი ქმედება აუცილებლად გამოიწვევს სათბურის გაზების აირების ცვლილებას. იმის მიხედვით, რომელ მექანიზმში იქნება არჩეული, საჭიროა: 1. დადგინდეს კავშირი სათბური გაზების ემისიებსა და ადამიანის საქმიანობას შორის. 2. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების დროს, მოხდეს გარე ფაქტორების ღირებულების გათვალისწინება.

### **რას მნიშვნელობა აქვს ამ პრინციპის განხორციელებას?**

გრძელვადიანი სათბური გაზების ემისიების გაზომვისა და პროგნოზირებისათვის საჭიროა სახელმწიფო და რეგიონული პოლიტიკის შემუშავება.

## **დაბალემისიური ეკონომიკის მართვისათვის, კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული შემოსავლების გამოყენება**

### **რატომ არის ეს პრინციპი საჭირო?**

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკის ღონისძიებების ძირითადი მიზანი უნდა იყოს კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება, კერძოდ, ემისიების თანდათანობითი შემცირება.

### **რა მნიშვნელობა აქვს ამ პრინციპის განხორციელებას?**

ემისიის შემცირების პოლიტიკისა და ზომების შემუშავება მთავრობებისთვის შემოსავლების ახალ წყაროებს აჩენს. ასეთი შემოსავლები, ორი კონკრეტული მიმართულებით უნდა იქნას გამოყენებული: 1. ისეთი ტექნოლოგიების გამოყენებაში, რომელიც კლიმატის ცვლილების პროცესს შეარბილებს. 2. დაეხმარონ ეკონომიკის სექტორსა და მოსახლეობას, დაბალემისიური ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯების შემსუბუქებაში.

## **ვაჭრობასთან დაკავშირებული კონკურენტუნარიანობისათვის ხელის შეწყობა**

### **რატომ არის ეს პრინციპი საჭირო?**

სახელმწიფო/რეგიონული კლიმატის ცვლილების პოლიტიკა და რეგულაციები ქმნის იმის რისკს, რომ ზოგიერთი საერთაშორისო სავაჭრო პროდუქტისა და სამთო მრეწველობის კონკურენტუნარიანობას უარყოფითი შედეგი შეიძლება ჰქონდეს. შედეგად, დროთა განმავლობაში

შეიძლება მივიღოთ ინვესტიციების, დასაქმებისა და შემოსავლების შემცირება. კლიმატის ცვლილების პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ამ რისკების შეფასებას და მის შერბილებას.

### **რა მნიშვნელობა აქვს ამ პრინციპის განხორციელებას?**

მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო გარანტიები, ვაჭრობის სფეროში რისკ - ფაქტორების თავიდან ასაცილებლად. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რეგულაციები, სრულად უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებსა და პრინციპებს.

## **ყოვლისმომცელი პროგრამის შემუშავება**

### **რატომ არის ეს პრინციპი საჭირო?**

საჭიროა სათბურის გაზების ემისიების შემცირება, ამისათვის საერთაშორისო დონეზე უნდა იქნას შემუშავებული ნახშირბადის ემისიების შემცირების სტრატეგია, მექანიზმი და გარკვეული ქმედებების უნდა იქნას გატარებული ამ კუთხით.

### **რა მნიშვნელობა აქვს ამ პრინციპის განხორციელებას?**

უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ყოვლისმომცელი მიდგომა, რომელიც განიხილავს: 1. გაფრქვეული სათბური გაზების ემისიების მთლიან რაოდენობას; 2. Sequestration- თვის ყველა ვარიანტს. 3. პოლიტიკის ყველა მექანიზმს. 4. საერთაშორისო, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე მიღებულ პოლიტიკისა და რეგულაციებს. თავდაპირველად უნდა შემუშავდეს ეროვნულ დონეზე გეგმები. ნებისმიერი გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა შესაბამის სექტორისა თუ საქმიანობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული ისეთ სექტორზე, სადაც მაღალეფექტური ტექნოლოგიები გამოიყენება.

## **პოლიტიკა უნდა იყოს პროგნოზირებადი და თანმიმდევრული**

### **რატომ არის ეს პრინციპი საჭირო?**

არათანმიმდევრულად, ბუნდოვნად და მოულოდნელად მიღებულმა კლიმატის ცვლილების პოლიტიკამ, შეიძლება ეკონომიკის გარკვეულ სექტორში კონკურენციის ნაკლებობა გამოიწვიოს და მომხმარებელსაც ზიანი მიაყენოს. ნაცვლად ამისა, პოლიტიკამ უნდა მისცეს დრო და სტიმული საქმიანობებს, დაბალემისიური ეკონომიკის განვითარებისათვის.

### **რა მნიშვნელობა აქვს ამ პრინციპის განხორციელებას?**

კლიმატის ცვლილების საკითხთან დაკავშირებული პოლიტიკა სწორად ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული, ნათლად გასაგები უნდა იყოს მომხმარებელთათვის და სამთო მრეწველობისათვის, რადგან მოხდეს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება, ასევე კლიმატის ცვლილების ეფექტურად მართვა.

## **პოლიტიკა უნდა იყოს მარტივი და ეფექტური**

### **რატომ არის ეს პრინციპი საჭირო?**

კლიმატის ცვლილების სამართავად შემუშავებული პოლიტიკა და რეგულაციები, უნდა იყოს: 1. ადვილად გასაგები და იმგვარად გამოყენებადი, რომ დანახარჯმა მიღებულ სარგებელს არ გადააჭარბოს. 2. მიზანი მიმართული იყოს სათბური გაზების ემისიების ეფექტურ შემცირებაზე.

**რა მნიშვნელობა აქვს ამ პრინციპის განხორციელებას?**

რეგულაციებთან დაკავშირებული ქმედებები და მისი მონიტორინგი უნდა იყოს მარტივად გასაგები. რაც მთავარია, თანმხლები პოლიტიკის დოკუმენტები უნდა იყოს, მომხმარებლებისათვის ნათლად აღსაქმელი, რადგან მათ წვლილი შეიტანონ სათბური გაზების ემისიების შემცირებაში.

**დაბალემისიური ტექნოლოგიების განვითარებისთვის მხარის დაჭერა რატომ არის ეს პრინციპი საჭირო?**

ყველასათვის ნათელია, რომ დაბალემისიური ეკონომიკის განვითარებისათვის, მომდევნო წლების განმავლობაში, საჭიროა სათანადო ტექნოლოგიების გამოყენება და დანერგვა. ასეთი ტექნოლოგიების განვითარება მნიშვნელოვანია და ამასთან, გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. ამიტომ, ასეთი ტექნოლოგიების დანერგვისათვის, საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა.

**რა მნიშვნელობა აქვს ამ პრინციპის განხორციელებას?**

მთავრობებმა უნდა იმუშაონ, რათა შექმნან სათანადო საინვესტიციო გარემო, სადაც როგორც საჯარო, ასევე კერძო კომპანიები იმუშავებენ სათანადო ტექნოლოგიების დანერგვაზე.

